საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე – კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – მ. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 07.12. 2022

საჩივრის რეგისტრაციის - №105/22

საჩივარი შეტანილია - ადვოკატ ი. ლ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა - ადვოკატ ი. ლ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2022 წლის 7 დეკემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მერაბ კოღუაშვილმა და მოითხოვა ადვოკატ ი. ლ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის თანახმად, მომჩივანს 2021 წლის 28 სექტემბერსა და 2022 წლის 15 ნოემბერს, იმავე სადავო გარემოებებთან დაკავშირებით, იმავე ადვოკატის მიმართ, საჩივარი ჰონდა შემოტანილი ეთიკის კომისიაში, რაზეც კომისიამ, მიიღო გადაწყვეტილება ერთ შემთხვევაში დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში, 2022 წლის 15 ნოემბრის

№400/22 პასუხით განმარტა, რომ საჩივარი იმ შემთხვევაში დარეგისტრირდებოდა, თუ ის კონკრეტიზებული იქნებოდა და აღწერდა ადვოკატის ქმედებებს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ეთიკის კომისიის აღნიშნული პასუხის საფუძველზე, მან ხელახლა შემოიტანა საჩივარი ადვოკატ ი. ლ.-ის მიმართ, სადაც მომჩივანის განმარტებით დეტალურად აღწერა ის გარემოებები, რომლებიც ადასტურებენ, ადვოკატის არაეთიკურ ქცევას და ქმნიან მისი დისციპლინირებისთვის საკმარის საფუძვლებს. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ი. ლ. არაკეთილსინდისიერად ასრულებდა პროფესიულ ფუნქციებს, არ ითვალისწინებდა კლიენტის ინტერესებს, დროულად არ ახორციელებდა საქმის წარმატებით დასრულებისთვის საჭირო იურიდიულ მოქმედებებს, რითიც საბოლოო ჯამში მ. კ.-ს მიადგა ზიანი.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ი. ლ.-მ დროულად არ გამოკითხა, სასწრაფო დახმარების ექიმები. ადვოკატმა, მხოლოდ 2021 წლის 16 თებერვალს იშუამდგომლა პროკურატურაში ექიმების დაკითხვასთან დაკავშირებით რითიც მან დაკარგა შესაძლებლობა სრულყოფილი მტკიცებულებები წარედგინა თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასმართლოში, რაც საქმის წარმატებით დასრულების ერთ-ერთი საფუძველი იქნებოდა. მომჩივანის პრეტენზიით, რაც შეეხება გამოძიების პროცესს, ის მნიშვნელოვნად გაჭიანურდა, მ. კ. დღემდე არ არის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობილი, რაც ადვოკატის მიერ დაგვიანებით, 2020 წლის 26 აგვისტოს, შეტანილი განცხადების შედეგია.

1.5 საჩივრის თანახმად, მომჩივანს შეთანხმებული ჰქონდა ადვოკატთან, რომ საჭიროების შემთხვევაში, მათ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის უნდა მიემართათ. მიუხედავად ამისა ადვოკატმა, დროულად არ მიაწოდა ინფორმაცია საჩივრის ავტორს გასაჩივრების უფლებასთან დაკავშირებით. ი. ლ.-მ მხოლოდ 2020 წლის თებერვალში გამოხატა, საქმის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასმართლოში გაგზავნის ინიციატივა, რა მიზნითაც მათ გაიარეს კონსულტაცია სხვადასხვა იურიდიულ ორგანიზაციაში, რომლებმაც უარი განაცხადეს საქმის აღებაზე, რადგან მათი განმარტებით, გასული იყო ადამიანის ევროპული სასმართლოსთვის მიმართვის 6 თვიანი ვადა. მომჩივანის განმარტებით, მისი მრავალი თხოვნის მიუხედავად ადვოკატი თავს არიდებდა აღნიშნულ ორგანიზაციებთან ურთიერთობას და არც მის შეტყობინებაზე რეაგირებდა, კერძოდ, ადვოკატს მომჩივანის 2022 წლის 3 ოქტომბერის წერილზე, პასუხი არ დაუბრუნებია.

1.6 საჩივრის მიხედვით, ი. ლ.-ს არასდროს გამოუთქვამს სურვილი ანაზღაურების საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვასთან დაკავშირებით. ადვოკატი ხელზე იღებდა თანხებს მომჩივანს ადვოკატისთვის დაახლოებით 10 000 ლარამდე აქვს გადახდილი, მაშინ როდესაც ადვოკატი საკუთარ ახსნა-განმარეტბაში უთითებს, რომ ის მინიმალურ ფასად ახორციელებდა საადვოკატო მომსახურებას.

1.7 საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ ადვოკატმა ზემოთ აღწერილი ქმედებებით დაარღვია ეთიკის კოდექსი და ითხოვს მის დისციპლინირებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2023 წლის 23 იანვარს ადვოკატმა ი. ლ.-მ წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება. ადვოკატის განმარტებით, ეთიკის კომისიამ ერთხელ უკვე განიხილა მ. კ.-ის იდენტური

საჩივარი მის წინააღმდეგ და 2021 წლის 16 ნოემბერს გამოიტანა გადაწყვეტილება, დისციპლინური დევნის აღძრვაზე უარის თქმის თაობაზე (საქმის №). ამასთან, ადვოკატი მიიჩნევს, რომ მომჩივანის პრეტენზიები უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია რადგან, ის ზედმიწნევით ასრულებდა თავის მოვალეობებს და მოქმედებდა კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით, შესაბამისად, ადვოკატს მიაჩნია, რომ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ი. ლ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი N/, სპეციალიზაცია - საერთო. დამატებითი სპეციალიზაცია: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ბავშვთა უფლებები.

3.1 მერაბ კოღუაშვილმა საჩივრით მომართა ეთიკის კომისიას 2022 წლის 7 დეკემბერს.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ი. ლ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის ,,ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ი. ლ.-მ დროულად არ გამოკითხვა სასწრაფო დახმარების ექიმები. მხოლოდ 2021 წლის 16 თებერვალს იშუამდგომლა პროკურატურაში ექიმების გამოკითხვასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში მომჩივანმა ვერ შეძლო საჭირო მტკიცებულებების წარდგენა. ამასთან, მიუხედავად მომჩივნის არაერთი თხოვნისა, ი. ლ.-მ არ გაითვალისწინა კლიენტის ინტერესები და კანონით დადგენილ 6 თვის ვადაში, არ წარადგინა საჩივარი ევროსასამართლოში.

5.2 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-9 მუხლის (ვ) ქვეპუნქტის თანახმად: ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ არსებობს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის იმავე საკითხზე.''

5.3 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საჩივარში მითითებულ ყველა სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებება, ეთიკის კომისიას განხილული აქვს 2021 წლის 16 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილებით. საპროცესო კოლეგია აქვე განმარტავს, რომ მომჩივანი უფლებამოსილია იმავე ადვოკატის მიმართ იმავე საქმეზე სხვა პრეტენზიებით მიმართოს ეთიკის კომისიას, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში კომისია განმეორებით ვერ შეაფასებს მომჩივანის მიერ წარმოდგენილ პრეტენზიებს, რადგან ისინი მის მიერ 2021 წლის 28 სექტემბერს შემოტანილ საჩივარში აღწერილი პრეტენზიების იდენტურია.

5.4 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 9. (ვ) მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №105/22 ადვოკატ ი. ლ.-ის მიმართ / სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/